ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3494869

ნომერი: AR1533498

თარიღი : 18.08.2017

გაცემის თარიღი : 25.08.2017

გაცნობის თარიღი : 25.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი / ქალაქი თბილისი , დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მურად წკრიალაშვილი პ/ნ 59001016955
- გორი, სტურუას ქ.18

ორგანიზაცია:

- შპს "ხინმინ ინთერნეშენელ ინვესტმენტ გროუპ ლიმიტიდ კომპანი" კოდი: 404933088

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2865780 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 18 აგვისტოს №AR1533498 განცხადებით მომართა მურად წკრიალაშვილმა და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2865780 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2865780 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სოფ. დიღომში/დიღომი, მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.72.14.094.484 მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, კომერციული და საოფისე) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 01 ოქტომბრიდან 2018 წლის 01 ოქტომბრის ჩათვლით.

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2865780 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და განმარტავს, რომ საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად 14007.8 კვ.მ-სა უნდა იყოს 14164.6კვ.მ, საზაფხულო ფართობი ნაცვლად 2441.9 კვ.მ-სა უნდა იყოს 2443.23, კომერციული ფართობი ნაცვლად 3016.5 კვ.მ-სა უნდა იყოს 2944.48 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი ნაცვლად 4592.6 კვ.მ-სა უნდა იყოს 4687.90 კვ.მ, დამხმარე ფართობი ნაცვლად 759.3 კვ.მ-სა უნდა იყოს 805.77 კვ.მ, სასაწყობე ფართობი ნაცვლად 171.1 კვ.მ-სა უნდა იყოს 85.51 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი ნაცვლად 2627.6 კვ.მ-სა უნდა იყოს 2964.48 კვ.მ, საერთო ფართობი ნაცვლად 28977.9 კვ.მ-სა უნდა იყოს 29457.07 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 18 აგვისტოს №AR1533498 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2016 წლის 30 სექტემბრის №2865780 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2865780 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს 14164.6 კვ.მ, საზაფხულო ფართობად მიეთითოს 2443.23 კვ.მ, კომერციულ ფართობად მიეთითოს 2944.48 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად მიეთითოს 4687.90 კვ.მ, დამხმარე ფართობად მიეთითოს 805.77 კვ.მ, სასაწყობე ფართობად მიეთითოს 85.51 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მიეთითოს 2964.48 კვ.მ, საერთო ფართობად მიეთითოს 29457.07 კვ.მ.
2. სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2865780 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2865780 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.